



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/167

„15“ ოქტომბერი 2013წ.

ბ ა ღ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 29 ნოემბრის №1/232 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 29 ნოემბრის №1/232 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. III ნაწილის („რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურა და საშტატო ნუსხა“):

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა

სტრუქტურული ქვედანაყოფების, აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულების (თანამდებობების) დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1. სასამართლოს მენეჯერი	1
2. სხდომის მდივანი	1
3. სპეციალისტი	1
4. მანდატური	2
5. დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	1
მაგისტრატი მოსამართლის აპარატი	
1. სხდომის მდივანი	1
2. მანდატური	1
3. დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	1

სულ 9.“;

ბ) 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„29. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს აპარატის
სტრუქტურა და საშტატო ნუსხა

სტრუქტურული ქვედანაყოფების, აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულების (თანამდებობების) დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1. სხდომის მდივანი	1
2. სპეციალისტი	1

სულ 2.“

2. IV ნაწილი („საშტატო ერთეულების საერთო რაოდენობა“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„IV. საშტატო ერთეულების საერთო რაოდენობა

თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების საშტატო ნუსხა განისაზღვროს 1163 საშტატო ერთეულით.“

მუხლი 2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე



საქართველოს იუსტიციის
უმადლესი საბჭოს მდივანი